

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალს“

ელ. ფოსტა: info@swisscapital.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს
კობა გვენეტაძეს

**ზოგადი წინადადება მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში პოლიტიკურად აქტიურ პირთა
მონაცემთა ბაზის დისკრიმინაციულად გამოყენების წინააღმდეგ**

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის
აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის
შესაბამისად*

2020 წლის 14 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N13531/20) მომართა დ. ჩ.-მ, რომელიც მიუთითებს, რომ 2020 წლის 12 დეკემბერს, სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალმა“ მომსახურებაზე უარი განაცხადა, ვინაიდან იგი არის „პოლიტიკურად აქტიურთა“ სიაში. ამასთან, განმცხადებელს ჰკითხეს, თუ რას საქმიანობდა 2012-2013 წლებში.

წარმოდგენილი განცხადების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ოთხჯერ გამოითხოვა ინფორმაცია სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალიდან“ და ორჯერ საქართველოს ეროვნული ბანკიდან. გარდა ამისა, დამატებით, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსაც მიმართა.

I. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლის მიერ აღწერილი გარემოებები

დ. ჩ.-ს განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2020 წლის 12 დეკემბერს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სვის კაპიტალმა“ 150 აშშ დოლარის ყიდვაზე უარი განაცხადა, რადგან „პოლიტიკურად აქტიურთა“ სიაში იმყოფებოდა. განმცხადებლის განმარტებით, მას *ორი შეკითხვა დაუსვას* 1) რას საქმიანობდა 2013 წელს, როდესაც ის იყო დაკავებული;¹ 2) სად მუშაობდა 2012 წელს; აღნიშნულ შეკითხვებს განმცხადებელმა უპასუხა, თუმცა,

¹ შენიშვნა: განმცხადებლის განმარტებით, ის უკანონოდ იყო დაკავებული და სამივე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით უდანაშაულოდ არის ცნობილი.

მომსახურების გაწევაზე მაინც უარი ეთქვა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მან მენეჯერთან შეხვედრა ითხოვა და წერილობითი ფორმით შედგენილი პრეტენზიით მიმართა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მომხდარის თაობაზე.² აღნიშნული პრეტენზიის საპასუხოდ, განმცხადებელს ეცნობა, რომ ორგანიზაციას შიდა პროცედურების საფუძველზე ვალდებულება აქვს შეისწავლოს ნებისმიერი პირი მომსახურების გაწევამდე. პასუხის თანახმად, ვინაიდან შაბათი დღე იყო და კომპანია არასრული დატვირთვით მუშაობდა, პირის შესწავლის პროცესი გაჭიანურდა და დაგვიანდა თანხმობის გაცემა მომსახურების გაწევისათვის.

განმცხადებლის განმარტებით, მხოლოდ ჟურნალისტების ადგილზე მისვლის შემდეგ შესთავაზეს მას მომსახურების გაწევა. მანამდე კი თანხა დაუბრუნეს და მომსახურების გაწევაზეც უარი უთხრეს, ვინაიდან პოლიტიკურად აქტიურ პირთა სიაში იყო. განმცხადებლისათვის გაურკვეველია რა კავშირშია მისი ადრინდელი საქმიანობა მიმდინარე პერიოდთან, ან/და რა კავშირი აქვს პოლიტიკურ აქტივობას საბანკო მომსახურების მიღებასთან. განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ ის არ არის პოლიტიკურად აქტიური პირი.

1.2. შესაბამისი ორგანიზაციების პოზიციები

1.2.1. საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, **„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“** საქართველოს კანონის მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია წარმოადგენს ანგარიშვალდებულ პირს. ***კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულია ის პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც უნდა განახორციელოს ანგარიშვალდებულმა პირმა.*** ამასთან, გასათვალისწინებელია, **„ანგარიშვალდებულ პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე“** საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №2 ბრძანებით დამტკიცებული წესი, რომლითაც განისაზღვრება ანგარიშვალდებულ პირის მიერ კლიენტისა და კლიენტის სახელით მოქმედი პირის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის მიზნით მოსაპოვებელი საიდენტიფიკაციო მონაცემები, ინფორმაცია და დოკუმენტები, აგრეთვე ამ მონაცემების, ინფორმაციისა და დოკუმენტების დამოწმების, აღრიცხვის, შენახვისა და განახლების წესი.

ეროვნული ბანკი ასევე განმარტავს, რომ **„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“** საქართველოს კანონის თანახმად, პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას, ***ანგარიშვალდებულ პირი ვალდებულია***

² **შენიშვნა:** განმცხადებელმა წარმოადგინა 2020 წლის 12 დეკემბრით დათარიღებული პრეტენზიის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც სურდა 150 აშშ დოლარის შექმნა და ოპერატორს მიაწოდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ოპერატორმა დაუსვა შეკითხვები 2012 და 2013 წლებში მისი საქმიანობის თაობაზე. ოპერატორმა განუმარტა, რომ პოლიტიკური აქტივობის გამო ვერ გაუწევდა მომსახურებას.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვის სათანადო სისტემის საფუძველზე დაადგინოს, არის თუ არა კლიენტი ან ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირი. ასევე, ანგარიშვალდებულ პირს აკრძალული აქვს საქმიანი ურთიერთობის დამყარება ან გაგრძელება, ერთჯერადი გარიგების დადება ან შესრულება, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კლიენტი ან გარიგების მონაწილე სხვა პირი გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციადაკისრებულ პირთა სიაშია.

კანონმდებლობით განსაზღვრული ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესასრულებლად, ანგარიშვალდებულ პირი ვალდებულია იქონიოს სანქციადაკისრებულ და პოლიტიკურად აქტიურ პირთა ბაზები და უზრუნველყოს პოტენციური კლიენტების შემოწმება აღნიშნულ ბაზებში.

1.2.2. „სვის კაპიტალი“

„სვის კაპიტალიდან“ მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2020 წლის 12 დეკემბერს დ. ჩ.-მ ნამდვილად მიმართა მათ კონვერტაციის ოპერაციის შესრულების მოთხოვნით. პასუხის თანახმად, სხვადასხვა საკანონმდებლო დოკუმენტებზე დაყრდნობით³ ორგანიზაციას ვალდებულება აქვს შეისწავლოს ნებისმიერი პირი მომსახურების გაწევამდე და განახორციელოს პირის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია.

„სვისს კაპიტალმა“ განმარტა, რომ ორგანიზაცია ვალუტის კონვერტაციისას უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე:

- არასრულწლოვანი პირის მომართვისას;
- ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის ბრძანებით დამტკიცებული „ანგარიშვალდებულ პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის“ მე-15 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისას - როდესაც ვერ ხერხდება კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია;
- „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მე-10 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, როცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კლიენტი სანქციადაკისრებულ პირთა სიაშია შეყვანილი ან მისი სახელით მოქმედი პირია, ან კლიენტი, რომელსაც პირდაპირ/არაპირდაპირ აკონტროლებს სანქციადაკისრებულ პირთა სიაში შეყვანილი პირი;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

პასუხში ასევე აღნიშნულია, რომ დ. ჩ. არ განიხილება პოლიტიკურად აქტიურ პირად, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და უარის მიზეზი ვერ იქნებოდა ის ფაქტი, რომ იგი

³ შენიშვნა: 1. საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“; 2. „საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N151/04, ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“; 3. საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“.

არის პოლიტიკურად აქტიური პირი. ამასთან, კანონმდებლობით არ იზღუდება პოლიტიკურად აქტიური პირის სტატუსის მქონე კლიენტის მომსახურება.

„სვის კაპიტალმა“ ასევე აღნიშნა, რომ: 1. დ. ჩ.-სთვის ნამდვილად მოხდა შეკითხვის დასმა 2012-2013 წლებში საქმიანობის შესახებ, რათა მომხდარიყო პირის სრულყოფილი შესწავლა; 2. ორგანიზაციამ თანხმობა გამოხატა მომსახურების გაწევაზე, თუმცა, განმცხადებელმა თავად თქვა უარი მომსახურების მიღებაზე; 3. ორგანიზაციაში არსებობს სანქციადაკისრებულ და პოლიტიკურად აქტიურ პირთა მონაცემთა ბაზები, სადაც ხდება ყველა პირის მონაცემის გადამოწმება. აღნიშნული ბაზა შედგენილია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების და ქვეყნების მიერ.

ბაზების შემუშავებასთან მიმართებით, „სვის კაპიტალი“ განმარტავს, რომ თავად არ შეიმუშავებს ზემოხსენებულ ბაზებს, არამედ კომპანია თანამშრომლობს „საქართველოს საფინანსო სატელეკომუნიკაციო კომპანიასთან“.

„სვის კაპიტალი“ ფიზიკური პირის ვერიფიკაციის არასავალდებულობასთან დაკავშირებით, როდესაც გარიგების თანხა არ აღემატება 1500 ლარს განმარტავს, რომ აღნიშნული არ გამორიცხავს თანხობრივი ლიმიტის მიუხედავად, პირის ვერიფიკაციას. მათი შიდა პროცედურების თანახმად, დაუშვებელია ერთჯერადი გარიგების დადება პირის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცედურის განხორციელებამდე.

დამატებით, პასუხში მითითებულია რომ მომხმარებლის საქმიანობასთან დაკავშირებული შეკითხვა არ წარმოადგენს ვერიფიკაციას, არამედ კლიენტის შესწავლას „იციანობდე შენს კლიენტს“ (KYC) სტანდარტების მიხედვით.

1.2.3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

2021 წლის 16 მარტის პასუხის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით, მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე და ა.შ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ სანქციადაკისრებული და პოლიტიკურად აქტიური პირების შესახებ მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შესაბამისი ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებიც, კერძოდ, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

პასუხში აღნიშნულია, რომ ანგარიშვალდებული პირების, მათ შორის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ **სანქციადაკისრებულ და პოლიტიკურად აქტიურ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, შესაძლოა, გათვალისწინებულ იყოს** „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებით (მაგალითად, აღსანიშნავია, ფულის

გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ შემუშავებული რეკომენდაციები).

დამატებით გვეცნობა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს არ შეუწყველია საქართველოში რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ, მონაცემთა ბაზების მეშვეობით, სანქციადაკისრებულ და პოლიტიკურ აქტიურ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების საკითხი.

II. პოლიტიკურად აქტიურ პირთა მონაცემთა ბაზის საფინანსო სფეროში გამოყენების პრობლემური ასპექტები

წინამდებარე ქვეთავში, სახალხო დამცველი კრიტიკულად შეაფასებს საფინანსო სფეროში პოლიტიკურად აქტიურ პირთა მონაცემთა ბაზის არსებობას და მას პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების კონტექსტში განიხილავს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სვის კაპიტალში“ პოლიტიკურად აქტიურ პირთა მონაცემთა ბაზის არსებობა, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა ახალისებდეს დისკრიმინაციას ფინანსური მომსახურების მიღების სფეროში სფეციფიკური ნიშნის - პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანთა ჯგუფის მიმართ. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება უპირველეს ყოვლისა ეროვნული ბანკის და „სვისს კაპიტალის“ წერილობით პასუხებს, რომელშიც მიუთითებენ ანგარიშვალდებული პირის ვალდებულებაზე დაადგინოს არის თუ არა კლიენტი პოლიტიკურად აქტიური პირი. ამგვარი მოპყრობის ნორმატიულ საფუძვლად კი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს ასახელებენ.

ვინაიდან, საქმე ეხება ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას მისი შეფასება სცდება მხოლოდ საფინანსო საქმიანობის სფეროს მომწესრიგებელ კანონმდებლობას და დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობის რეგულირების სფეროში ინაცვლებს.

რაც შეეხება *სანქციადაკისრებულ პირთა შესახებ მონაცემთა ბაზას* მოპასუხეები განმარტავენ, რომ მასში იგულისხმება ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებზეც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული სანქციები ვრცელდება. გაეროს უშიშროების საბჭო როდესაც აუცილებელია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება იყენებს სანქციების მექანიზმს.⁴ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით სხვადასხვა ეკონომიკური, სავაჭრო ან უფრო მიზნობრივი სანქციის გამოყენება შეუძლია - როგორცაა: იარაღზე ემბარგო, მოგზაურობის აკრძალვა, ფინანსური სანქციები.⁵

⁴ <https://www.uaieec.gov.ae/en-us/united-nations-security-council-sanctions>

⁵ <https://www.un.org/securitycouncil/sanctions/information>

ანგარიშვალდებულ პირებს ეკრძალებათ ისეთი ტრანზაქციის შესრულება, რომლის მხარე, გაეროს სანქციათა კომიტეტის მიერ, საერთაშორისო ტერორიზმთან ასოცირებულ პირთა სიაშია შეყვანილი ან მისი სახელით/დავალებით მოქმედებს. ფინანსური ინსტიტუტების დიდი ნაწილი, მსგავსი ტრანზაქციების გამოვლენის მიზნით, იყენებს კომერციულ მონაცემთა ბაზებს და ტრანზაქციების მონიტორინგის თანამედროვე სისტემებს. სხვა ანგარიშვალდებულ პირები კი ეყრდნობიან გაეროს უშიშროების საბჭოს ვებგვერდზე განთავსებულ ან ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ თავის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ საერთაშორისო ტერორიზმთან ასოცირებულ პირთა სიას.⁶

ყურადსაღებია, რომ განმცხადებელი არ იმყოფება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სანქციადაკისრებულ პირთა სიაში.⁷ შესაბამისად, მოცემული საქმის ფარგლებში სახალხო დამცველი პოლიტიკურად აქტიურ პირთა ბაზას შეაფასებს პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების კონტექსტში.

2.1. სამართლებრივი ანალიზი

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი იძლევა როგორც *სანქციადაკისრებული პირის, ასევე პოლიტიკურად აქტიური პირის* ტერმინთა განმარტებებს.

სანქციადაკისრებულ პირთა სია – იმ ფიზიკურ პირთა და იურიდიულ პირთა სია, რომლებზედაც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული სანქციები ვრცელდება;⁸

პოლიტიკურად აქტიური პირი⁹ - არის მნიშვნელოვანი საჯარო ან პოლიტიკური ფუნქციების შემსრულებელი ფიზიკური პირი (გარდა საშუალო და დაბალი რანგების თანამდებობის პირებისა), მათ შორის:

- ა) სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის ხელმძღვანელი, მთავრობის წევრი (მინისტრი), მისი მოადგილე, სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელი;
- ბ) საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) წევრი;
- გ) პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელი, მმართველობის ორგანოს წევრი;

⁶ საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება ანგარიში 2019 წელი, გვ 46.

⁷ იხ. დეტალური ინფორმაცია სანქციადაკისრებული პირთა შესახებ:

<https://scsanctions.un.org/fop/fop?xml=htdocs/resources/xml/en/consolidated.xml&xslt=htdocs/resources/xsl/en/consolidated.xsl>

⁸ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის „ყ“ ქვეპუნქტი.

⁹ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი.

დ) უზენაესი სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს, უმაღლესი ინსტანციის სხვა სასამართლო ორგანოს წევრი, რომლის გადაწყვეტილებები გამონაკლის შემთხვევაში საჩივრდება;

ე) გენერალური აუდიტორი, მისი მოადგილე, აუდიტორთა სასამართლოს წევრი;

ვ) ეროვნული (ცენტრალური) ბანკის საბჭოს წევრი;

ზ) ელჩი, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი;

თ) თავდაცვის (სამხედრო) ძალების ხელმძღვანელი თანამდებობის პირი;

ი) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელი, მმართველობის ორგანოს წევრი;

კ) საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე, მმართველობის ორგანოს წევრი.

ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის მხრივ, მნიშვნელოვანია კანონის მე-10 და მე-11 მუხლები, რომლებითაც დადგენილია პრევენციული ღონისძიებების განხორციელების საფუძვლები.

ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია კანონის მე-11 მუხლის 1-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვის სათანადო სისტემის საფუძველზე დაადგინოს, არის თუ არა კლიენტი ან ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირი.

თავის მხრივ, მე-11 მუხლის 1-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევები კი შემდეგია:

ა) საქმიანი ურთიერთობის დამყარება; ბ) ერთჯერადი გარიგების დადება, თუ ერთჯერადი გარიგების თანხა ან დაკავშირებული გარიგებების ჯამური თანხა 15 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 15 000 ლარის ეკვივალენტს აღემატება; გ) ფულადი სახსრების ერთჯერადი გადარიცხვა, თუ ერთჯერადი გარიგების თანხა ან დაკავშირებული გარიგებების ჯამური თანხა 3 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 3 000 ლარის ეკვივალენტს აღემატება; დ) მოპოვებული საიდენტიფიკაციო მონაცემების სიზუსტეში ან ამ კანონის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობაში ეჭვის შეტანა.

მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი კი, გარკვეულწილად, აფართოებს ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებს და ადგენს, რომ ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვის არსებობის შემთხვევაში, თანხობრივი ზღვრის ან ნებისმიერი სხვა დათქმის მიუხედავად, განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები.

ამდენად, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია არა ნებისმიერ შემთხვევაში დაადგინოს არის თუ არა კლიენტი პოლიტიკურად აქტიური პირი, არამედ მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ ზემოთ ჩამოთვლილ 4 შემთხვევაში ან/და როდესაც არსებობს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი.

საქმის გარემოებების თანახმად, განმცხადებელი ითხოვდა 150 აშშ დოლარის ყიდვას რაც ნაკლებია, როგორც 15000, ასევე - 3000 ლარზეც. ასევე, მხარეთა შორის არ არსებობდა საქმიანი ურთიერთობა, ვინაიდან კანონის თანახმად, საქმიანი ურთიერთობა განიმარტება ანგარიშვალდებულ პირსა და კლიენტს შორის განგრძობითი კომერციული ან პროფესიული ურთიერთობა, რომელიც ანგარიშვალდებულ პირის მიერ კლიენტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევას გულისხმობს,¹⁰ ხოლო ერთჯერადად 150 დოლარის ყიდვა არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ასეთად.

„სვის კაპიტალი“ ასევე არ მიუთითებს, რომ, განმცხადებლის შემთხვევაში, არსებობდა ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი, არამედ განმცხადებლისთვის მიწოდებულ პასუხში აღნიშნავს, რომ შაბათი დღის გამო კომპანია არასრული დატვირთვით მუშაობდა, რამაც პირის შესწავლის პროცესი გააჭიანურა. შესაბამისად, განმცხადებლის მხრიდან ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვის არსებობაზე დამატებითი მსჯელობა აზრს მოკლებულია.

ამდენად, განმცხადებელთან მიმართებით, არ იყო დაკმაყოფილებული ის სამართლებრივი საფუძვლები, რომელიც პოლიტიკურად აქტიური პირის დასადგენად არის აუცილებელი. მეტიც, განმცხადებელი პოლიტიკურად აქტიური პირიც რომ ყოფილიყო, ეს ავტომატურად არ გამოირიცხავდა მომსახურების მიღებას.

ანგარიშვალდებულ პირის მხრიდან კლიენტის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესს კი საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის ბრძანება N2 განსაზღვრავს.

<p><u>ვერიფიკაცია</u> – ამ წესით განსაზღვრული ინფორმაციის (დოკუმენტის) მოპოვება, რომელიც პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების სიზუსტის გადამოწმების საშუალებას იძლევა;</p>

<p><u>იდენტიფიკაცია</u> – პირის ამ წესით განსაზღვრული საიდენტიფიკაციო მონაცემების მოპოვება, რომლებიც ამ პირის მოკვლევისა და სხვა პირისგან გამორჩევის საშუალებას იძლევა;</p>

ანგარიშვალდებულ პირი უფლებამოსილია, კლიენტი ფიზიკური პირის ვერიფიკაციის მიზნით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე, მოიპოვოს საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი და გვარი; დაბადების თარიღი; პირადი ნომერი; პირადობის ან/და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, გაცემის თარიღი, გამცემი ქვეყანა, გამცემი ორგანო და მოქმედების ვადა; სქესი; მოქალაქეობა; დაბადების ადგილი – ქვეყანა (აგრეთვე ქალაქი – ასეთი მონაცემის არსებობის შემთხვევაში); რეგისტრაციის მისამართი).¹¹

საყურადღებოა იმავე N2 ბრძანების მე-5 მუხლის 3¹ პუნქტი, რომლის თანახმად, ფიზიკური პირის ამ მუხლით გათვალისწინებული ვერიფიკაცია არ არის სავალდებულო: **ნაღდი**

¹⁰ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „შ“ ქვეპუნქტი.

¹¹ ბრძანების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

ფულით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვას, თუ ოპერაციის (გარიგების) თანხა არ აღემატება 1500 ლარს და ოპერაცია არ სრულდება საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში („ა“ ქვეპუნქტი).

იმ პირობებში, როდესაც განმცხადებელს 150 აშშ დოლარის ყიდვა სურდა, რომელიც 1500 ლარზე ნაკლებია და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანების მე-5 მუხლის 3¹ პუნქტი ხაზს უსვამს ვერიფიკაციის არასავალდებულობაზე, კიდევ უფრო საეჭვო ხდება. თუ რამ განაპირობა განმცხადებლის *ვერიფიკაციის* და არა იდენტიფიკაციის აუცილებლობა.

ფინანსური მომსახურების სფეროში მომხმარებლის იდენტიფიკაციისა და საქმიანი ურთიერთობების მონიტორინგის განხორციელების საერთაშორისოდ აღიარებული წესები დადგენილია *ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (Financial Action Task Force –FATF) (შემდგომში - სპეციალური ჯგუფი) მიერ. სპეციალური ჯგუფი არის სამთავრობოთაშორისო ორგანო, რომელიც 1989 წელს დაარსდა და მისი მიზანია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით სტანდარტების დადგენა და ეფექტიანი აღსრულება სამართლებრივი, მარეგულირებელი და საოპერაციო ღონისძიებების შემუშავების გზით.*¹²

სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციის შესაბამისად, რისკების შეფასების და *რისკზე დამყარებული მიდგომის მიზნით*, სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ შესაბამისი ზომები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საფრთხეების გამოვლენისა და შეფასებისთვის. განსხვავებული უნდა იყოს რეგულაციები მაღალი და დაბალი რისკის ქვეყნების შემთხვევაში. ის ქვეყნები, სადაც ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკები მაღალია, შემუშავებული რეგულაციები უნდა უზრუნველყოფდნენ, რისკების ადეკვატურად მართვას, ხოლო დაბალი რისკის ქვეყნებს შეუძლიათ გამარტივებული ღონისძიებების შემუშავება.¹³

შესაბამისი რეკომენდაციებით განსაზღვრულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ისეთ ღონისძიებები, როგორცაა, ფინანსური მომსახურების მომხმარებლის - *კლიენტის სათანადოდ შემოწმების ღონისძიებები (customer due diligence (CDD) measures)*. ფინანსური დაწესებულებები ვალდებული არიან, მიიღონ მათი მომსახურების მომხმარებლის (კლიენტის) სათანადოდ შემოწმების ზომები,¹⁴ (1) საქმიანი ურთიერთობების დამყარებისას; (2) ისეთი ერთჯერადი ოპერაციის განხორციელებისას, რომლის ღირებულებაც აღემატება 15000 დოლარს/ევროს (I); ფულადი სახსრების გადარიცხვისას იმ შინაარსით, რომელიც მე-16 რეკომენდაციით არის დადგენილი (II) (3) როდესაც არსებობს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი; (4) როდესაც

¹² INTERNATIONAL STANDARDS ON COMBATING MONEY LAUNDERING AND THE FINANCING OF TERRORISM & PROLIFERATION the FATF RECOMMENDATIONS updated October 2020 გვ. 8.

¹³ INTERNATIONAL STANDARDS ON COMBATING MONEY LAUNDERING AND THE FINANCING OF TERRORISM & PROLIFERATION the FATF RECOMMENDATIONS updated October 2020 გვ. 10.

¹⁴ იქვე. გვ. 14.

ფინანსურ დაწესებულებას გააჩნია ექვი კლიენტის პიროვნების დამადასტურებელი მონაცემების ნამდვილობასთან დაკავშირებით, ან როდესაც ამგვარი მონაცემები არასრულადაა წარმოდგენილი.¹⁵

სპეციალური ჯგუფის 12 და 22 რეკომენდაციები კი პოლიტიკურად აქტიურ პირებს მიემართება. სპეციალური ჯგუფი *პოლიტიკურად აქტიურ პირს განმარტვას*, როგორც ინდივიდს, რომელიც მნიშვნელოვან საჯარო ფუნქციებს ასრულებს. პოლიტიკურად აქტიური პირების ზეგავლენისა და მათი პოზიციის გამო აღიარებულია, რომ მათ მიერ დაკავებული პოზიციები პოტენციურად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი გამოყენებული იყოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებისათვის. ნიშანდობლივია, რომ მოთხოვნები პრევენციული ბუნების არის და არ უნდა მოახდინოს პოლიტიკურად აქტიური პირების სტიგმატიზაცია. სპეციალური ჯგუფის განმარტებით, საქმიან ურთიერთობაზე უარის თქმა მხოლოდ იმიტომ, რომ პირი პოლიტიკურად აქტიურია ეწინააღმდეგება 12 რეკომენდაციის სულისკვეთებას.¹⁶

12 რეკომენდაცია სახელმწიფოებს ავალდებულებს ჰქონდეთ რისკის მართვის სათანადო სისტემები, რათა განსაზღვრონ, არის თუ არა კლიენტი უცხოელი პოლიტიკურად აქტიური პირი ან მასთან დაკავშირებული პირი და მხოლოდ აღნიშნულის დადასტურების შემდეგ დამატებით უნდა გატარდეს ღონისძიებები კლიენტის სათანადოდ შემოწმების ღონისძიებებთან (*customer due diligence (CDD) measures*) ერთად.¹⁷

ადგილობრივი პოლიტიკურად აქტიური პირების შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს საქმიანი ურთიერთობის რისკი და დაბალი რისკის შემთხვევაში არ დგას დამატებითი ზომების მიღების საჭიროება იმის განსაზღვრად, არის თუ არა პირი პოლიტიკურად აქტიური. მაღალი რისკის საქმიანი ურთიერთობის შემთხვევაში კი, გამოყენებული უნდა იქნეს გაძლიერებული რისკის შემცირების ღონისძიებები. ამასთან, იმის გადაწყვეტისას საქმიანი ურთიერთობა დამყარდეს თუ არა პოლიტიკურად აქტიურ პირთან ყურადღება უნდა გამახვილდეს ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკის დონეზე, რომელიც ასოცირდება კონკრეტულ პოლიტიკურად აქტიურ პირთან.¹⁸

მე-10 რეკომენდაცია არ მოითხოვს სათანადოდ შემოწმების ღონისძიებების გატარებას იმ კლიენტების მიმართ, რომლებიც „ჩვეულებრივ ტრანზაქციებს“ ასრულებენ. შესაბამისად, ფინანსურ ინსტიტუტებს არ მოეთხოვებათ იმის განსაზღვრა, არის თუ არა კლიენტი პოლიტიკურად აქტიური პირი ან/და გამოიყენონ გაძლიერებული ზომები.¹⁹ იმ შემთხვევაში თუ არ არის მაღალი რისკი, პოლიტიკურად აქტიურ პირს უნდა მოეპყრნან ისე, როგორც სხვა

¹⁵ **შეადარე:** „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁶ FATF GUIDANCE POLITICALLY EXPOSED PERSONS (RECOMMENDATIONS 12 AND 22) June 2013 გვ. 3.

¹⁷ იქვე. გვ. 3

¹⁸ FATF GUIDANCE POLITICALLY EXPOSED PERSONS (RECOMMENDATIONS 12 AND 22) June 2013 გვ. 6-7.

¹⁹ FATF GUIDANCE POLITICALLY EXPOSED PERSONS (RECOMMENDATIONS 12 AND 22) June 2013 გვ. 5.

კლიენტს მოეპყრობოდნენ და გამოიყენონ კლიენტის სათანადოდ შემოწმების ღონისძიებები (CDD measures).²⁰

სპეციალური ჯგუფის სახელმძღვანელოში პოლიტიკურად აქტიური პირების მიმართ დადგენილი მოთხოვნების და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობის შესაბამისობის თვალსაზრისით აღნიშნულია, რომ 12 რეკომენდაციის მოთხოვნები არის კლიენტის სათანადოდ შემოწმების ღონისძიებების (*customer due diligence (CDD) measures*) დამატებითი პრევენციული ზომები, რომლის განხორციელებასაც სპეციალური ჯგუფი მოითხოვს მაღალი რისკის შემცველი საქმიანი ურთიერთობისას.²¹

განსახილველ შემთხვევაში, 2020 წლის 12 დეკემბერს დ. ჩ.-ს „სვის კაპიტალმა“ უარი განუცხადა 150 აშშ დოლარის მიყიდვაზე. „სვის კაპიტალი“ არ ადასტურებს მომსახურებაზე უარის თქმას, თუმცა, საპირისპიროზე მეტყველებს შემდეგი გარემოებები: 1) „სვის კაპიტალი“ ადასტურებს, რომ განმცხადებელს შეკითხვები დაუსვეს 2012-2013 წლებში მისი საქმიანობის გარშემო; 2) განმცხადებელმა წარმოადგინა იმავე დღესვე დაფიქსირებული წერილობითი პრეტენზია, რომელშიც ის აღწერს, რომ მას პოლიტიკური აქტივობის გამო ეთქვა უარი მომსახურების გაწევაზე; 3) დამატებით, მომხდარი ინციდენტის შესახებ გასულ სატელევიზიო სიუჟეტში განმცხადებელი განმარტავს, რომ პოლიტიკურად აქტიურ პირთა სიაში ყოფნის გამო ეთქვა მომსახურების გაწევაზე უარი.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველისათვის სარწმუნოა განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომ მას „სვის კაპიტალმა“ მომსახურების გაწევაზე უარი უთხრა. აღნიშნულ დასკვნას აძლიერებს თავად „სვის კაპიტალის“ განმარტებაც, რომ მათ აქვთ პოლიტიკურად აქტიურ პირთა მონაცემთა ბაზა. საპირისპირო დაშვების შემთხვევაში („სვის კაპიტალს“ უარი რომ არ ეთქვა მომსახურების გაწევაზე) გაუგებარია, რატომ დაწერდა განმცხადებელი საჩივარს ან/და რატომ აცნობებდა მომხდარის თაობაზე მედიას.

III. სახალხო დამცველის კომპეტენციის შესახებ გამოსცეს ზოგადი წინადადება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად საქართველოს სახალხო დამცველი ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ფინანსური მომსახურების სფერო და მასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია

²⁰ FATF GUIDANCE POLITICALLY EXPOSED PERSONS (RECOMMENDATIONS 12 AND 22) June 2013 გვ. 23

²¹ FATF GUIDANCE POLITICALLY EXPOSED PERSONS (RECOMMENDATIONS 12 AND 22) June 2013 გვ. 25-26.

სპეციფიური სფეროა, რომლის შეფასებაც, რიგ შემთხვევებში, სცდება სახალხო დამცველის კომპეტენციას. შესაბამისად, ამ ზოგადი წინადადების მიზანი არ არის მომსახურების მიღებამდე კლიენტის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცედურის როლის ან საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული მდგომარეობის სიღრმისეული შეფასება, არამედ იმის დემონსტრირება, თუ რა დისკრიმინაციული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია პოლიტიკურად აქტიურ პირთა მონაცემთა ბაზის არსებობას და მის პრაქტიკაში გამოყენებას საბაზისო ფინანსური მომსახურების მიღების პროცესში. სახალხო დამცველის შეფასებით, ამგვარი ბაზების არსებობა წარმოშობს რისკებს, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, მომხმარებელს დაუსაბუთებლად ეთქვას უარი ისეთი მნიშვნელოვანი და, ამავდროულად, საბაზისო მომსახურების მიღებაზე, როგორც არის ვალუტის კონვერტაცია, თანხის გადარიცხვა, გზავნილის მიღება, ანგარიშის გახსნა და სხვა.

წინამდებარე ზოგადი წინადადების 2.1. ქვეთავში განვითარებული მსჯელობის თანახმად, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონი ანგარიშვალდებული პირს პრევენციული ღონისძიებების გატარების უფლებამოსილებით კონკრეტულ შემთხვევებში აღჭურავს და, მე-11 მუხლით, პრევენციული ღონისძიებების გატარების სამართლებრივ საფუძვლებს ადგენს.

ამრიგად, შესაბამისი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ანგარიშვალდებული პირები, რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე, უნდა ახდენდნენ მათი მომსახურების ისეთი მომხმარებლის (კლიენტის) იდენტიფიცირებას, რომლის საქმიანობამ შესაძლებელია შექმნას ფულის გათეთრების ან/და ტერორიზმის დაფინანსების საფრთხე.

აღსანიშნავია საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების 2019 წლის ანგარიშში, რომლის თანახმადაც *მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან* დაკავშირებული ფულის გათეთრების რისკი შეფასებულია **როგორც საშუალო-დაბალი, ხოლო ტერორიზმის დაფინანსების რისკი როგორც დაბალი**²².

სახალხო დამცველის განმარტებით, ეჭვგარეშეა, რომ ანგარიშვალდებული პირების მხრიდან მომსახურების გაწევამდე მომხმარებლის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია ზოგადად, შესაძლებელია, მართლაც ემსახურობდეს იმ ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციაში მდგომარეობს. სხვა საკითხია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რამდენად შეესაბამება განსხვავებული მოპყრობის უფლების შემზღვეველი ხასიათი და შეზღუდვის ინტენსივობა ზემოაღნიშნულ ლეგიტიმურ მიზანს.

სპეციალური ჯგუფის (FATF) განმარტებით, არსებობს მრავალგვარი კომერციული მონაცემთა ბაზები, რომელიც ავლენს პოლიტიკურად აქტიურ პირებს. **სპეციალური ჯგუფის**

²² საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება ანგარიში 2019 წელი, გვ 73.

რეკომენდაციები არ მოითხოვენ ამგვარი მონაცემთა ბაზების გამოყენებას.²³ მონაცემთა პროგრამული ბაზის გამოყენება და იმის შემოწმება არის თუ არა კლიენტი პოლიტიკურად აქტიური პირი, ზრდის საფინანსო ინსტიტუტის მიერ არასწორად შეფასების რისკებს. ამგვარი სიების სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს არჩევნები, სამთავრობო ცვლილებები და საჯარო პირების თანამდებობების ყოველდღიური ცვლილებებიც.²⁴ საინტერესოა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პასუხიც, რომ **სანქციადაკისრებულ და პოლიტიკურად აქტიურ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება, შესაძლოა, გათვალისწინებულ იყოს** „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“. თუმცა, კანონი პირდაპირ არ მოითხოვს პოლიტიკურად აქტიური პირთა მონაცემთა ბაზის არსებობას.

„სვის კაპიტალი“ თავადაც განმარტავს, რომ დ. ჩ. არ არის პოლიტიკურად აქტიური პირი. როგორც უკვე აღინიშნა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლი განსაზღვრავს პოლიტიკურად აქტიურ პირთა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელსაც განმცხადებელი არ მიეკუთვნება.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. აღნიშნული ნორმა თავის თავში მოიცავს **ასოციაციით და აღქმით დისკრიმინაციას**. ასოციაციით დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც ადამიანს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებენ, ვინაიდან მასთან დაკავშირებულ პირს აქვს დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე საფუძველი. აღქმით დისკრიმინაცია კი იმ შემთხვევებში გვხვდება, როდესაც ადამიანს განსხვავებულად ეპყობიან იმის გამო, რომ დისკრიმინაციის ჩამდენის აღქმით, მას დისკრიმინაციისგან რომელიმე დაცული ნიშანი აქვს. ამასთან, როგორც ეს კანონის ნორმიდან იკვეთება, არ აქვს მნიშვნელობა, პირი რეალურად არის თუ არა დაცული ნიშნის მატარებელი. განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სახეზეა აღქმით დისკრიმინაცია დ. ჩ.-ს პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე, კერძოდ, მოპასუხემ შეკითხვები დაუსვა მას 2012-2013 წლებში მისი საქმიანობის თაობაზე და უარი უთხრა მომსახურების გაწევაზე პოლიტიკურად აქტიურ პირთა ბაზაში ყოფნის გამო.

ხაზგასასმელია თანამშრომლების მომზადების და კვალიფიკაციის საკითხიც. სპეციალური ჯგუფის მე-18 რეკომენდაციის განმარტებითი ბარათი მოითხოვს განგრძობად სასწავლო პროგრამებს თანამშრომლებისათვის. სასწავლო პროგრამები მიმართული უნდა იყოს ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვისკენ იმის განსასაზღვრად, არის თუ არა კლიენტი პოლიტიკურად აქტიური პირი და მოითხოვს პოლიტიკურად აქტიურ პირებთან დაკავშირებული პოტენციური რისკების გააზრებას, შეფასებას და მართვას.²⁵

²³FATF GUIDANCE POLITICALLY EXPOSED PERSONS (RECOMMENDATIONS 12 AND 22) June 2013 გვ. 15.

²⁴ იქვე. გვ. 15.

²⁵ FATF GUIDANCE POLITICALLY EXPOSED PERSONS (RECOMMENDATIONS 12 AND 22) June 2013 გვ. 14.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ ზოგადი წინადადებებით:

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალს“:

- უზრუნველყოს მის მიერ საჯაროდ შეთავაზებული მომსახურების ხელმისაწვდომობა თანასწორობის პრინციპის დაცვით და კლიენტის სათანადოდ შემოწმების საკითხებზე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ეტაპობრივად და განგრძობადად გადამზადდნენ „სვის კაპიტალის“ თანამშრომლები;

საქართველოს ეროვნულ ბანკს:

- მოცემული ზოგადი წინადადებით დადგენილი სტანდარტი გაავრცელოს საქართველოში მოქმედ ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე.

გთხოვთ, წინამდებარე ზოგადი წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,